სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

09131684913017

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170544629

რეგისტრაციის თარიღი

19.05.2017 წ

ნოტარიუსი: რუსუდან ფიფია
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #10
ტელეფონი: 2223678

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო, ქ. თბილისი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ცხრამეტ მაისს მე, ნოტარიუს რუსუდან ფიფიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირ N10-ში, მომმართა სს ,,ვაკე"-მ, წარმოდგენილმა გენერალური დირექტორის გიორგი ჩიკვაიძის სახით, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რის საფუძველზეც სს ,,ვაკე"-ს სახელით შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს მიხეილ ბალიაშვილს.

დავადგინე გიორგი ჩიკვაიძის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემოწმებისას მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ასევე, შევამოწმე გიორგი ჩიკვაიძის უფლებამოსილება.

გიორგი ჩიკვაიძე არის სს ,,ვაკე"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204862005) გენერალური დირექტორი, თანახმად სს ,,ვაკე"-ს შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერისა, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17044228, 24/04/2017 15:31:50 საათი.

შემდეგ, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე გიორგი ჩიკვაიძეს. მან განაცხადა, რომ მინდობილობა შეესაბამება მარწმუნებლის, სს ,,ვაკე"-ს ნებას და ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი ამ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ცხრამეტ მაისს სს-მ **,,ვაკე"** (მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო, რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 5\5-16; 23/06/2003, საიდენტიფიკაციო კოდი: 204862005, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის შესახვევი N15), შემდგომში ,,მარწმუნებელი" წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **გიორგი ჩიკვაიძის** (დაბადებული 18. 06. 1971 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, ს. ჯანაშიას ქუჩა N11, პირადი N01018003415) სახით, **მიხეილ ბალიაშვილს** (დაბადებული 18. 04. 1978 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N95, პირადი N01005001410), შემდგომში ,,რწმუნებული" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, დიდი დიღომი, ველოტრეკის მიმდებარედ განთავსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.10.06.001.216, საკადასტრო კოდი N01.10.06.001.217) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურთან ურთიერთობაში. ამ მიზნით წარადგინოს/ატვირთოს ელექტრონულად შესაბამისი დოკუმენტები, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო განცხადებას/განაცხადს, მიიღოს განაშენიანების რეგულირების გეგმის ნებართვა და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია მინდობილი დავალების შესრულებამდე.

გიორგი ჩიკვაიძე

მინდობილობა შედგენილია სამ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს რუსუდან ფიფიას სანოტარო არქივში, ორი ეგზემპლარი გადაეცა სს ,,ვაკე"-ს გენერალურ დირექტორს, გიორგი ჩიკვაიძეს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუს რუსუდან ფიფიას სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. სს ,,ვაკე"-ს შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერი, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17044228, 24/04/2017 15:31:50 საათი.

,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის ოცდაცხრა დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია საზღაური 10 ლარი + საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღგ 1.80 ლარი + ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), სულ 13.80 ლარი.

მარწმუნებელი
სს ,,ვაკე", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის
გიორგი ჩიკვაიძის სახით გიორგი ჩიკვაიძე

ნოტარიუსი /რუსუდან ფიფია/